**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ულიერივი სტრიქონი რვაკაპეიკი.

1877—1891 სალიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

ქართული თეატრი

კვირას, 27 ოქტომბერს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება,

აკაკი წერეთლის ისტორიული დრამა

**პატარა-კახი**

მესამე მოქმედებაში ქართული ხორო რატილის ლოტბარობით შეასრულებს „მუშურს“ და „მუმლი-მუხას“

II

პირველად ახალი ვოდევილი

**ბარაქალა მასწავლებელო!**

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი საფაროვისა, ავალოვისა, ჩერქეზიშვილისა, ტარიელოვისა, არლანისა, აგიევისა, ბ-ნნი: აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, კანდელაკი, გედევანოვი, შათიროვი ადამიძე, და სხვ.

დასაწყისი 7½ საათზედ.

ადგილების ფასი: ლოჟები 3 მან. მოყოლებული 10 მანეთამდე, სკამები 60 კაპ. 3 მანათამდე, გალერეია 20 კაპ. 40 კაპეიკამდე.

რეჟისორი ნიკ. ავალიშვილი — ადმინისტრატორი ვალ. გუნია.

---

ხუთშაბათს, 25 ოქტომბერს,

ტფილისის საარტისტო საზოგადოების თეატრში (სოლოლაკზედ, ი. ი. ფითოევის სახლში)

დანიშნულია

**კონცერტი**

**მ. გ. ძნელაძისა**

სკრიპკის დამკვრელ **კოლჩინის** მონაწილეობით.

დაწვრილებით აფიშებში გამოცხადებული. ბილეთები ისყიდება თითონ თეატრში და მირიმანოვის სამუსიკო მაღაზიაში.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზედ

---

ქუთაისის ქალაქის გამგეობა შეუდგა რა შემდეგის 1892—1895 წ. ოთხის წლისათვის ქალაქის სამართველოს ამორჩევლების სიების შედგენას, ვალად სდებს თავისს თავს სთხოვოს ქალაქის მცხოვრებთ, თავისს დროზედ შემოიტანონ მათს უძრავ მამულებზედ გაწერილი დასაფასებელი გარდასახადი (оцѣночный сборъ), როგორც ძველი, ისე ამ მდგომარე წლისა, რადგან ამ გარდასახადის დროზედ შემოუტანლობაართმევს მცხოვრებთ ხმის უფლებას ამომრჩეველთ შეკრებილებაში (მე 4 მუხ. 1964 სტ. II ტ. I ნაწ. გამ. 1876 წ.)

(3—2)

---

ტფილისის პოლიცმეისტერი ამით უცხადებს ქ. ტფილისის მცხოვრებლებს, რომ იმისს კანცელარიაში, რომელიც იმყოფება ერევნის მოედანზე, ბ-ნ გუბერნატორის ნება-დართვით, მიიღებენ შესაწირავს, როგორც ფულად აგრეთვე ნაივთად, დაზარალებულ გუბერნიების მკვიდრთა სასარგებლოდ.

---

## ახალი ამბავი

*** მთავარმართებელი კავკასიისა გენერალ-ადიუტანტი ს. ა—ძე შერემეტევი 21 ოქტომბერს, ღამით, ტფილისში დაბრუნდა.

*** ტფილისის გუბერნატორს, თავ. გ. დ—ძეს შერვაშიძეს, 26 ამ თთვისას მოელიან აბასთუმნიდგან.

*** კონსტანტინოპოლის სომეხთა პატრიარქს წინადადება გაუგზავნია ყველა ეპარქიაში, დეპუტატთა არჩევას შეუდეგით ეჩმიაძინის მთავარ-პატრიარქის საარჩევანოდაო.

*** ჩვენმა ქალაქის გამგეობამ განიზრახა სადეზინფექციო სადგურის აშენება. სამზადისს უკვე შეუდგნენ, როგორც შენობის გეგმის შედგენისას, ისე ხარჯთ-აღრიცხვისასაც.

*** 1—8 ოქტომბრამდე ყვავილით ავად გახდა ტფილისში 5 კაცი, რომელთაგანაც სამი გარდაიცვალა. ამავე დროს განმავლობაში ხუნაგით ავად გახდა 2 კაცი და მათგან ერთი გარდაიცვალა.

*** ამ დღეებში ტფილისის სახელოსნო გამგეობაში არჩევანები მოხდა „ობოლთა სამზრუნველოს“ ორის წევრის და ორის კანდიდატისა. არჩეულ იქმნენ წევრებად დ. მ. საპილოვი და ე. ს. მაისურაძე, ხოლო კანდიდატებად კ. ა. კაზანჯანიანცი და პ. ა. გამყრელიძე.

*** ტფილისის საპატიმროთა სამზრუნველო კომიტეტმა გადასწყვიტა, რომ ყველა პატიმართ ყვავილი აუცრან.

*** მიწად-მოქმედებისა და სასოფლო მრეწველობის დეპარტამენტს ჩირეულობის მოსამზადებელი იარაღები გამოუგზავნია ტფილისის სამეურნეო საზოგადოებისათვის. ამ იარაღებს დღე-დღეზე მოელიან ტფილისში.

*** დაიბეჭდა და გამოვიდა „Библіографическій указатель по виноградарству и виноделію“ თაიროვისა. ამ წიგნში მოთავსებულია ყოველი საყურადღებო წერილი და წიგნი, რაც-კი რამ 1755 წელს აქეთ დაბეჭდილა მევენახობისა და ღვინის კეთების შესახებ. მარტო წიგნი და წიგნაკი 292-ია და ჟურნალი 192. ამ ჟურნალებში 3,973 წერილია შესახებ მევენახობისა, ღვინის კეთებისა, ფილოქსერისა და სხვ.

წიგნი ღირს 1 მ. 50 კ.

*** გუშინ-წინ, 23 ოქტომბერს, ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა ახალი ხუთ-მოქმედებიანი და ექვს სურათიანი, ბ-ნ ნიკო ავალიშვილის მიერ გადმოკეთებული, კომედია, „ღარიბი სასძლო“. ქ-ნ ანდრონიკოვის როლი შეასრულა ქ-ნმა ჩერქეზიშვილისამ და-ჩერქეზიშვილისა—ქ-ნმა ტარიელიშვილისამ. დაწვრილებით შემდეგ გავარჩევთ. საზოგადოება წარმოდგენას ნაკლებად დაესწრო.

---

# ფელეტონი

## ზოგიერთი ფიქრი

მე რაღაც ისეთს ბედის ვარსკვლავზედ ვარ დაბადებული, რომ სრულიად შეუძლებელია ვიცხოვრო ისე, თუ ჩემი შინა არსების, საკუთარი სულის ავ-კარგიანობის აზრი არა მაქვს ნათლად გამორკვეული, მარად მიმზიდველს საოცნებო საგანს დავშორებულვარ და რწმენის მხურვალე მადლით ჩემი გრძნობა-გონება საკმაოდ არა თბება. წინ მარად ჩემი ხელმძღვანელი აზრი სპეტაკის შუქით უნდა მიდგეს, რომ მწარედ შეკრულს შუბლს ნაოჭი გაუხსნას და გულმა თვით მოღრუბლულის ცისა და გავერანებულის არე-მარის დანახვაზედაც სიცოცხლისა და მხიარულების გემო იგრძნოს. იგი აზრია ჩემი ნუგეში და სულის ჩამდგმელი, დიდიხანია მის გამშვენებულს წიაღს შეეფარე საბრალო ნავი ჩემი; მას გარს უვლიან, ნაზად და მოწიწებით ემსახურებიან ჩემის თითოეულის ნიჭის ძალნი, ჩემი გრძნობანი...

მაგრამ, წარმოიდგინეთ, ჩემი გამწარებული მდგომარეობა, როდესაც ამ გარშემო არე-მარეს, რომელიც მე ამ წამს მარტყია, სრულიად სიცოცხლის ნიშან-წყალი აღარ ეტყობა, საფლავის ქვა ლოდად დასდებია და მოძრაობის ძაფი გაწყვეტია; ჩემი არსება ველარ უმაგრდება ამ დაბნელებულის წყვდიადის სიმძიმეს, გაწუმპულის ცხოვრების მოსასპობლად რისხვითა და ღრჭენით მოწოლას და ძალა უნებურად ძირს ეცემა, გულიკი... ეს მწარედ დაჭრილი, დაავადმყოფებული გული გამოურკვეველსა და აუტანელს ბურანში ეხვევა და იწიწკნება. დამძიმებულ, დაღლილ სხეულის აგებულება სრულიად მოწყვეტილია, ასოებს ურთიერთს შორის თითქო კავშირი აღარა აქვსო, ერთს მეორისა არა გაეგება-რა და თითოეული იმათგანი იქით მიეზიდება, საითაც გახედვა და თვალის გადავლება ჩემთვის სიკვდილი და ჯოჯოხეთია. აზრი, ენის გამომეტყველება აღარ ეთანხმება იმას, რასაც მე ვფიქრობ და რისიც გამოთქმა მინდა. ამაზედ უარესი მდგომარეობა კიდევ-და შეიძლება?.. გაოცებულ გულის ფიცარზედ ამოვარდნილი სისხლის ბურთები ძალზედა ტოკვენ და ისე ძლიერად სცემენ, რომ ზაფრის, შიშის ქარები თმებს ყალყზედ მიყენებენ. მომხედეთ მე ცოდვილს!.. ოთხს კედელს შუა მომწყვდეული ვარ და ჭეშმარიტად სიკვდილია ჩემთვის—უდიდესისა და ჩემის უსაყვარლესის პოეტის თქმისა არ იყოს—„მარტოხელობა სულისა“...

გულმა ველარ გაუძლო ოთახში შეხუთულს ჰაერს, სული მთლად ერთიანად შემიგუბდა, თვალში სისხლი მომაწვა და სრულიად ავირიე. გამწარებული კბილებს ქვეშ მოყოლილს ტუჩებს ძალზედა ვკბენდი და გაუგებრად ხელებს მაღლა ვიშვერდი, თითქოს კედლების სიმძიმის მოჩვენებულს თავზედ წამონგრევას ვიმაგრებო, უცბად ოთახის კარები გავაღე, გიჟსავით გარედ გავვარდი და სანდროსკენ გავეშურე.

ჩემი მკითხველი, თუ არა ვსცდები, უნდა იცნობდეს ამ ყმაწვილს კაცს. სანდრო ჩემი მეგობარია და ესე ოცდა-რვა წლის ახალგაზდაა. შუა ტანი და ჩასხმული ზომიერად შეკრული სხეულის მოყვანილობა აქვს. თუმცა ნამეტანი სილამაზე არ ამშვენებს, მაგრამ, სამაგიეროდ, იმისი საკუსე პირის სახე და მეტყველება თვალებისა სწორედ სასიამოვნო და მიმზიდველი სანახავია. იმისს განიერს, მაღალსა და გადაშლილს შუბლს ღრმა რწმენის ბეჭედი აზის. გიშერივით შავი წვერ-ულვაში ლამაზად შეკვეცილი აქვს და სულ ერთიანად შავს ტანისამოსში არის გახვეული, თითქოს ამ ჟამად მგლოვიარედ იყოსო. როდესაც ჩუმად ზის და დაჯდომილა თავისს გონიერს, ჩაფიქრებულს, სათვალეებიდგან გადმომცქერალს დიდრონს თვალებს მაღლა შეატრიალებს, გარეშემოს გადაავლებს და ძირს ჩამოშვებულს მარჯვენა ხელს ზარმაცად შუბლზედ გარდაისვამს, თქვენ უნებურად იმ წამსვე იხიბლებით ამ დინჯისა და მოაზრე ახალგაზდას სურათით, გინდათ სულ იმას უცქიროთ და ესაუბროთ. ლაპარაკი იმ უბრალო, უმნიშვნელო და წვრილმან საგნების შესახებ, რომელთა გამო ბევრი ჩვენგანი ქუჩის „აბლაკატივით“ დილით საღამომდისა ლაშლაშობს,—სანდროს ეტყობა, რომ უჭირს; მხოლოდ მძიმე, განყენებულის საგნებისა და რთულს საზოგადოებრივის საგნების შესახებ ეხალისება ჩემს მეგობარს ლაპარაკი და სწორედ მაშინ მისი თავ-დაჭერილი, ცნობიერი, გარკვეული, მკაფიო და ცოცხალი სჯა-ბაასი გაკვირვებს მით უფრო, რომ ამ დროს ამ ყმაწვილს ეტყობა რაღაც თავ-დაუზოგველობა, მიმზიდველი გულ-წრფელობა. სანდრო მეტის-მეტად, თითქმის გადაჰარბებით ზრდილობიანი, მორცხვი და კრძალვით მოლაპარაკეა, მაგრამ მსჯელობის, საყვარელის აზრისა და იდეის გარკვევის დროს უშიშარი, შეუპოვარი და დაურიდებელია:

სამი წელიწადია მას შემდეგ, რაც ეს ყმაწვილი კაცი რუსეთიდგან დაბრუნდა და თავისს ქვეყანაში სცხოვრობს. ვინ იცის,—ან რა საჭიროა დღეს ჩვენთვის ვიცოდეთ,—ამ ცოტა ხნის განმავლობაში რა და რა დიდად მნიშვნელოვანს საგნებს არ წაავლო ხელი, რა და რა საქმეებში არ ჩაერია, რას არ აუჩინა თავი და მისცა დასაწყისი, ჩაუდგა მკვიდრი საძირკველი ჩვეულებრივის ენერგიითა და მღვიძარებით! ამისთანა კაცები საქმეს ემსახურებიან და არა სახელს. აქამდის ისტორიაში და დღესაც სახელის მოხვეჭა იმათ ხვდებოდათ ხომლე წილად, ვისთვისაც უცნობი ხილი იყო მოაზრე კაცთა მიერ განსაზღვრული და დაწყებული საქმე. იქნება, ჩემს სანდროსაც ასე დაემართოს? ცოხვრება და ისტორია ასეთის კაცებისათვის ხომ დედინაცვალია. მაგრამ სანდროსაც სწორედ ისე, როგორც მე და შენ, ჩემო მკითხველო, სრულიად არ აფიქრებს ეს აზრი. მე ძლიერ მსურდა სანდროს ნახვა იმიტომ, რომ დახმარებოდა როგორმე ჩემს აუტანელს მდგომარეობას და სიცოცხლის შუქი მოეფინა. იმედი მქონდა, რომ, თუ არ სანდრო, სხვა ვერ გამიწევდა ამ შემთხვევაში ნამდვილს მეგობრობას, ვერ გამიქარვებდა ჩემს სულსა და გულზედ მწარედ მოწოლილს სევდას, ვერ ჩამინერგავდა გულში სასოებისა და უკვდავების ნუგეშს. ვფიქრობდი, რომ იმისი თავ-დაჭერილი, მორწმუნე წრფელის გულიდგან წამონადენი საუბარი შესძრავდა, აამოქმედებდა ჩემს ტვინს, გამიხალისებდა დაჭრილს გულს და სიცოცხლის შემაყვარებელს სურვილს გამიცხოველებდა. ვფიქრობდი... მაგრამ შენთვით ჩაუკვირდი, ჩემო მკითხველო, გულ წრფელად ჩაუფიქრდი იმას, რასაც ჩვენის საუბრიდგან წარმოვადგენ შენს წინაშე.

იქნებოდა საღამოს ცხრა საათი, როდესაც სანდროს ოთახის კარები შევაღე და სალამის ნიშნად მეგობრულად ხელი გავუწოდე. ის ამ დროს ერთს მოსკოურს გაზეთს კითხულობდა და პირზედ ღიმილი უქროდა. მე იქვე სტოლს მივუჯექი; სანდრო წამოდგა და ოთახში სიარული დაიწყო.

— ხომ გახსოვს, შენა, ამასწინად ერთის დიდის ერის მთავარ-მინისტრმა

*** დღეს მიაბარეს მიწას კაპიტანი კონსტანტინე მიხეილის ძე კოლუბანსკი, რომელიც წარსულს შაბათს გარდაიცვალა. განსვენებული დიდს მონაწილეობას იღებდა საზოგადო საქმეებში: ხმოსანი იყო ქალაქის საბჭოსი და მამასახლისი „ტფილისის სობრანიისა“, ხშირად იღებდა მონაწილეობას ქართულს საქველმოქმედო წარმოდგენებში, წერილებსა სწერდა „Обзоръ“-სა და „Кавказъ“-ში, ხოლო ქართულს ჟურნალს „ცისკარში“ — ლექსებსა და სხვა შენიშვნებს. ამას გარდა, დასწერა ქართულად ოთხ-მოქმედებიანი დრამა „სიყვარული ყმაწვილის ქალისა“, რომელიც ამ რამდენისამე წლის წინად წარმოადგინეს კიდეც. განსვენებული 1839 წ. დაიბადა და დიდს ხანს ემსახურებოდა სამხედრო სამსახურში. იმის დასაფლავებას საკმაოდ ბევრი ხალხი დაესწრო.

*** ამ დღეებში ადგილობრივმა გაზეთებმა ამბავი დაბეჭდეს ქაირიმას შესახებ, ვითომ იგი კვლავ დაბრუნებულიყოს კავკასიაში და ხელახლად შესდგომოდეს ყაჩაღობას. სხვათა-შორის ამბობდნენ, ქაირიმამ ზაქათალას მხარეს განჯელი მეფურგუნეები გაძარცვა და ამ მეფურგუნეებმა კარგად იცნესო.

ეხლა ამ საქმის თაობაზე ყაზახის მაზრის უფროსს გაზეთ „Н. Об.“ რედაქციისთვის წერილი მოუწერია და უარ-ჰყოფს ქაირიმას ზაქათალას მაზრაში ყოფნას და ამას ასაბუთებს კიდეც.

*** ს. ნიგოითი. ნამუშავარი მოსალოდნელზედ მეტი მოვიდა. სამდურავს ვერ ვიტყვით, მაგრამ გლეხ-კაცი მაინც ყველგან ბედ-კრულია. რამდენს უნდა გაუნაწილოს თავისი საკუთარი ნამუშავარი: ბატონს, მოურავს, მოიჯარადრეს, მეველეს, ნადელი გადაიხადოს, თუ სხვა.

ღვინოც საკმაოდ დადგა, მხოლოდ მოკრეფის დროს ქარმა დაგვიზარალა ცოტა. ჭინახულის მოლაგების დროს ღმერთმაც გვიბრალა და გაგვილიმა: კარგი დარები იდგა.

*** იქიდამვე: ამას წინად კინაღამ ერთი საცოდაობა არ დატრიალდა. სამი გლეხი სჭრიდა ნიგოზს და როცა ნიგოზი წაქცევაზედ მიდგა, ერთი ზედ აგზავნეს თოკის მოსაბმელად, რომ უკეთესად წაექციათ. ის რომ თოკს აბამდა, ძირს კიდევ ხეს ცულსა სცემდნენ. უცბად ხემ იწკრიალა და წაიქცა. სწორად სასწაულით გადარჩა ზედ მყოფი კაცი, არაფერი დაშავებია, მხოლოდ ოდნავ დაიბეჟა.

*** იქიდამვე: დიდი საცოდაობა დატრიალდა აქ 8 თიბათვეს (?). ამ დღეს, დილით, ბიჭებმა რომ საბალახოდ გარეკეს ძროხები, რკინის გზის ლიანდაგზედ იპოვნეს საძაგლად დასაჩიჩრებული მკვდარი კაცი. ხალხი შეგროვდა სანახავად, მაგრამ ვერავინ იცნო, მღვდლის გარდა. ეს კაცი აღმოჩნდა ნიგოითის მცხოვრებელი. გ. ორმოცაძე, რომელიც ლანჩხუთში წასულიყო ცოლის ავადმყოფობის გამო წამლების სასყიდლად, გზა გაებმარჯვებინა, პირდაპირ ლიანდაგით წამოსულიყო და გზაზედ საქონლის მატარებელს მოეტანა ქვეშ. არავინ იცის, განგებ შეაკლა თავი ორმოცაძემ რკინის მატარებელს, თუ შემთხვევით მოხდა, მითქმა-მოთქმა-კი მრავალ გვარია.

*** ს. ჯუნჯუათი: (ოზურ. მაზრა) ამ დღეებში აქ გულის შესაზარი ამბავი მოხდა: ერთმა გლეხკაცის ცოლმა ქმრის ეჭვიანობის გამო ყელი გამოიღადრა. როგორც ამბობენ, ქმარი ყოფილა ავად. ცოლი უვლიდა და პატრონობდა. ავადმყოფის სანახავად სხვათა შორის ერთი კაციც დაიარებოდა. ქმარმა რაღაც ეჭვი აიღო თურმე და იმ მნახავს უთხრა, „სიკვდილი დამაცადე და მერმე ჩემი ცოლი ღმერთმა გითავოსო“! ცოლს ვეღარ აუტანია ეს სიტყვები, ვინ იცის, იქნება ცილის-წამებაც, და დანით გამოუღადრავს ყელი. საბრალოს მესამე დღეს დაულევია სული.

*** როგორც გაზეთები იუწყებიან ყალბი სამ-მანეთიანი და თუმნიანები გამოჩენილა. თუმნიანები ისე ოსტატურად თურმე მომზადებული, რომ ხაზინის მოხელეებიც ძლივსა სცნობენ, ხოლო სამ-მანეთიანებს-კი ძლიერ ადვილად ეტყობა თურმე სიყალბე.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**კახეთი** (თელავის მხრივ), ღვინობისთვის 1. არ იქნა და არ გვეღირსა დღე სინათლისა. კარგა ხანია, რაც აქა სწვიმს და ცუდი ამინდებია. პატარა ხანი რომ აიყაროს, მოიხედავთ, და ისევ დაუშო წვიმამ. მთებს ხომ ტყეებამდის სთოვლს ყოველს გაავდრებაზე. თოვლიან მთებიდგან ჩამონაბერმა ცივმა სიომ კახეთის ჰავა მთლად შესცვალა, გააცივა... [illegible], წვიმები შემო[illegible] ჩვეულებრივია, მაგრამ ზოგჯერ-კი მეტის-მეტი განიერებულია ხოლმე, როგორც ეხლა. მართალია, ამ წვიმებს, ნახნავ-ნათესის მხრივ რომ ავიღოთ, სარგებლობაც ბევრი მოაქვს, მაგრამ ზიანი-კი უფრო მეტი: სთვლებს გვიგვიანებს, ყურძენს გვიწყალებს, ნებას არ გვაძლევს მოვისთვლიოთ ჩვენი კაცის ერთად ერთი უმთავრესი წყარო ცხოვრებისა — ვენახის მოსავალი, ისედაც მცირე, მეტადრე ზოგან. გაზაფხული და ზაფხულის დამდეგი კარგის მოსავლის იმედებს იძლეოდა, მაგრამ ზაფხულის გასულებმა-კი გვილალატა: რაღაცა სენმა ჩამოუარა ჩვენს ვენახებს — ფოთოლი და ნახევარი ყურძენიც გახმა ვაზზე. ზოგან-კი, სადაც სეტყვამ არ დაჰკრა, სულს ქვეშ რომ ვსთქვათ, ეს ცუდი ამინდები რომ არ აუბარაქოებდეს, სამდურავი არაფერი გვაქვს, რიგიანი ღვინის მოსავალი მოვიდა. ხსენებული სენიც შიგა-დაშიგ არის... აქამდე უცადა ხალხმა: აცა, გამოიდარებსო, და, რომ არ გამოიდარა, ეს ერთი კვირაა, მიჰყო ხელი ვენახების კრეფას, მაგრამ უგემურად: აიყრება ავიდარი, მოასწრობენ ერთისა ან ორის ურმის ყურძნის დაკრეფას, მოიხედავ, დაუშო ისევ. ამ სახით მიდის აქ სთვლები...

დაჭრიალდა თუ არა ყურძნიანის გოდრებით დატვირთული ურმები და გამოიკიდა ეზოებში ჩურჩხლები, დაიწყეს კიდეც წოწიალი არაქელ-ვართანაებმა დავთრებითა და ტიკ-კოლოტით ხელში. აგერ, ჰხედავ არუთინას რომლისამე მარნის კარზე და იქვე ხალხის გროვას: ზოგნი ნავებში სდგანან; ზოგნი ქვევრებიდგან ბოჩკებში სწყავენ ტკბილს; ზოგნიც სახილებლად მოსულან აქ. ვინ უნდა იხილოთ მერე? ვინ და კისერ წითელი, მუცელ-გასიებული, აბრეშუმის სარტყელიც რომ ვეღარა სწვდება, არაქელა. კიდევ ვინ-და? კიდევ ბაგე-შემურღვებული კეთილშობილი, შავარდენივით გულ-მკერდი რომ უდგა, წელი ჭიანჭველას ან „კარსეტიან“ მანდილოსანს რომ მიუგავს, მშვენიერად რომ გამოწყობილა ჩერქეზულს ტანისამოსსა და იარაღში, გიმნაზიის მეხუთე, თუ მეექვსე კლასიდამაც რომ არის. მერე რას აკეთებენ ესენი ამ ქვევრ-მარანთან? რასა და პირველი მეორის ტკბილს იწყავს დახარჯულსა და ვალში. თუ ამით გადარჩა, კიდევ კარგი, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ეს სარგებელში მიაქვს და თავნი კიდევ უკლებლად რჩება... მოდი და გაამტყუნე გლეხი კაცი, რომლის კარებზედაც დღე-მუდამ ათას ნაირი ჭირი და ვარამი ტრიალებს, როცა ისენი, ვისაც კარზე მზე-წვიმის მეტი არა მიადგებარა, ამისთანა მდგომარეობაში არიან... ნეტავ როდის შევიგნებთ?

გაღმიელი.

**ცხინვალი**, 20 ოქტომბერს. ბ-ნი გორის მაზრის უფროსი თავისს წერილში, რომელიც დაბეჭდილი იყო „ივერიის“ 217 №-ში, შენიშვნას აძლევს იმ ამბის დამწერს, რომ გორის მაზრაში ქურდობა გახშირდაო, და სხვათა შორის ბრძანებს: „რადგანაც სასურველი არ არის, რომ ამ გვარმა სრულიად უსაბუთო ამბებმა გაზეთებისამ დააშინოს მკვიდრნი და მყუდროება დაურღვიოსო“ და სხვ. კიდევ ბრძანებს: „ქურდობა გორის მაზრაში, შეიძლება ვსთქვათ, კიდეც მოისპო სრულიადო, რადგანაც წარსულ ორის თვის განმავლობაში მხოლოდ ერთი არზა მივიღე კ. [illegible]“ და სხვ.

თუ მართლა ეს ასეა და ასეთი მყუდროება სუფევს გორის მაზრაში,

---

რომ პატივით მოიხსენია ერთი პაწია და დაჩაგრული ერის მეთაურნი, მომიბრუნდა სანდრო: აი, ეხლა ამ პაწია ერის ერთს ნიჭიერსა და სასიქარულო მეთაურს კაცს მადლობა გადაუხდია იმ მთავარ-მინისტრისათვის, რომელიც მეტად ბრძენი და წინ-დახედულია საგარეო პოლიტიკის საქმეში.

— როგორ არ მახსოვს. მერე რაო? შევუბრუნე სიტყვა.

— მერე ისა, რომ „ყვავს კაკალი გააგდებინე, ისიც კარგიაო“. განა მე-კი არ ვიცი, რომ დიდი, გაპარპაშებული ერი პაწია ერის ბედ-იღბალს არ დაეძებს. მაგალითს თვით იმ პირველ მინისტრის ძლევა-მოსილი სამშობლოს ისტორია წარმოგვიდგენს, ხომ... მაგრამ ამ შემთხვევაში მინისტრის სიტყვა ძლიერ შორსა სჭრის და ამიტომ მიხარიან, პირზედ ღიმილი მომდის...

— მერე რა გინდა, კაცო; ნუ ახირდები, თუ ძმა ხარ. მე მაგ მინისტრისთანა კაცებისა არაფერი არა მწამს და მაგათზედ დაიწყებ თუ არა ლაპარაკს, მაშინვე ნაღველს ნაღველი ემატება და მწარე, ლოდსავით მძიმე, აუტანელი სევდა იპყრობს ჩემს არსებას და ვიწყევლები, შეჩვენებით ვიხსენიებ ყველას და ყველაფერს. გული მეწვის, კაცო, და ტვინი მტკივა, რომ მაგათს თვალთმაქცურსა, დიპლომატურსა და მოხერხებულს ლაპარაკს ყურს ვუგდებ. კაცობრიობისათვის მშვიდობიანობა ჰსურთ, იმის აუცილებელი საჭიროება ენაზედ აკერიათ მაშინ, როდესაც იმათისავე წყალობითა (მოლტკეს-კი უკუღმა უანგარიშნია) და მანქანებით მთელი ევროპა თავიდგან ფეხამდე შეთოფ-იარაღებული დარაჯად სდგას და ყუმბარების საზარელს გახმაურებას ელოდდება. სიცოცხლის მომსპობელი, ბარბაროსული აფორიზმი: „თუ მშვიდობიანობა გსურს — საომრად მზად უნდა იყო“ ამ ჟამად ყოველს ფეხის გადადგმაზედ აღიარებულა. უბედურია სიცოცხლის შვილი, ამ ქვეყნის ორის დღის სტუმარი ადამიანი! დინამიტის, რაღაც ეშმაკურის, თავ-ზარ-დაცემის მელინიტისა და თოფის წამლის სუნი არჩობს სიცოცხლეს, ცხოვრების, მრეწველობის რიგიანს ფორმამდე მიახლოვებას, შრომისა და აზრის გამარჯვებას და მთელი ქვეყნიერობა ჯოჯოხეთს დამსგავსებია.

ვინ მოიფიქრებდა, აზრით ვინ წარმოიდგენდა ამ ორმოცის წლის წინად, ასე 1848 წ. დროს, რომ მე-XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი ამ მდგომარეობამდის მიგვიყვანდა! მაშინ სხვა ფიქრით, სხვა ზრუნვით და ვარამით ჰქონდა ხელის გული კაცობრიობასა და დღეს-კი სხვა რიგად დატრიალდა დაწინაურებულ ერთა ბედის ჩარხი.. ეს ჩვენი დრო, როდესაც ცივილიზაციის დიდებულს ლამპარს.... ჰმ!. ...ეხლა ხომ მაინც, მადლობა ღმერთს, გამოაშკარავდა ამ ყოვლად ნაქების და გუნდრუკნაკმევის ცივილიზაციის დიდება და მშვენება! მეცნიერება, სწავლა-განათლება, ადამიანის თვით განყენებული მადლიანი აზრიანობაცა და ფილოსოფიაც ხელს აწვდის და ეხმარება იმ საშინელს ბარბაროსობას, რომელიც მძარცველობისა, კაცის ჟლეტისა და დამონების სურვილით არის გატაცებული და თავიდგან ფეხებამდე შეპყრობილ-შებოჭილი. სადის გონების კაცი, მოაზრე და ბრძენი პატრიოტი, უეჭველია, უნდა წითლდებოდეს, უნდა სირცხვილით იწოდეს იმისთანა ცივილიზაციის დამღუპველის ნაყოფითა, რომელიც სიკვდილისა და ჯოჯოხეთის დასატრიალებლად რაინდების დაულეველს რაზმს თან-და-თან ამრავლებს და წარმოუდგენელს უბედურებასა და განსაცდელს უქადის ქვეყნიერებას. საშიშარი, თავზარ დამცემი სურათია! ვინ იცის, რით გათავდება საქმე... დღეს-კი ქიმია, მეხანიკა და ათასი სხვა, ეგრედ წოდებული, „მეცნიერება“ მალი-მალ გაფაციცებით, დღე და ღამ იმაზედ მუშაობს, რომ ხალხთა მომსპობი და გასაჟლეტი საშიშარი რამ მოიგონოს. და ამას შემდეგ ჩვენს საუკუნეს კიდევ უფლება აქვს, რომ წარსულ დროთა ბარბაროსობას ამპარტავნულად გაჰყურებდეს და ოლიმპის სიმაღლიდგან მწარედ დაიცინებოდეს? მართალი სთქვა ჩვენმა გამწარებულმა პოეტმა, რომ

„უწინდელს ბარბაროსობას
დღეს ჰქვიან დიპლომატია“...

როგორც ვაშლის ხიდგან მოწყვეტილი ვაშლი თავის ხის ახლო ფესვებთან ეცემა,, ისე კიდევ ცივილიზაცია, რომელსაც ბარბაროსობა ამდენს ხანს ძუძუს აწოვებდა და ზრდიდა, იმას არ დაშორებია, მას კუდში მისდევს და მისს მსგავსებას წარმოადგენს... გეუბნები, რომ მე არა მრწამს იმ მინისტრისთანა კაცებისა არაფერი, თუნდაც რომ წინ-დახედულნი და ბრძენნი იყვნენ კიდეც იგინი. იმათ თავიანთი ინტერესი ამოქმედებთ, პაწია ერებისათვის თავს არ შეიწუხებენ. ყველამ თავისთვის უნდა იზრუნოს. რომ იტყვიან, ვისაც შეგიძლია, თავს უშველეო, სწორედ ისეთი ჟამი დადგა დღეს და საზოგადო, საერთო ინტერესი-კი ეშმაკს გადაუყლაპავს.

სანდრო გაშტერებით მიყურებდა და ფიქრს მისცემოდა.

— დღევანდელის მდგომარეობის სმზოგადო სურათი, რომელიც შენ ნათლად დახატე, სწორედ რომ ნამდვილია, მაგრამ არ ვეთანხმები შენგან დასკვნილას აზრს, რომ ცივილიზაციას ასე უპატიურად იხსენიებ. რა დამნაშავე არის აქ ცივილიზაცია თავის თავად, თავის ბუნეთურით, რომ იმისი ბედის განმგენი, დღევანდელი მოთავე კაცები პირს იქით უქცევენ, საითაც უნდათ. აქ მეცნიერება თავის თავად არასფერს შუაშია. მიეცი კაცს მადლი, უნარი მოხმარებისა, გონიერად გამოყენებისა და დღევანდელი ნაყოფიც მეცნიერებისა, ისიც-კი, რაც დღემდის მოგროვილა, ჩემის აზრით, საკმაო სიკეთესა და ბედნიერებას მიანიჭებს, შედარებით, გაბეჩავებულს ადამიანს. ეს ერთი. ველურის,, ბარბაროსულის მდგომარეობის დროს, როდესაც კაცი მხეცივით სცხოვრობდა, მთელს თავისს ძალ-ღონესა და შეძლებას იმას ახმარებდა, რომ გამოეკვება თავისი თავი და უფრო ძლიერის ნადირისა და მტერისაგან თავი გადაერჩინა. აქ შრომასა და ცივილიზაციას, რასაკვირველია, ადგილი არ ჰქონდა. გაჩნდა თუ არა შრომის სახსენებელი დედა-მიწაზედ, დაიბადა პირველი შუქიც ცივილიზაციისა და კულტურისა: კოოპერაცია და განაწილება შრომისა, ხვნა-თესვა, მიწის შემუშავება, ათასნაირი საჭირო მოგონება, წარმოებისთვის შემუშავდა სხვა-და-სხვა იარაღი, კაცობრიობამ გაიცნო ბუნება, მოგროვდა ცოდნა და დაარსდა მეცნიერება და სხ. კაცს დასჭირდა უფრო უმცირესი, უფრო ნაკლები დრო, ვიდრე წინად, რომ თავისი საჭირო მოთხოვნილებანი დაეკმაყოფილოს. ამიტომაც იმას ხელთ რჩება თავისუფალი დრო, მოცლა აქვს, რომ იზრუნოს უფრო უმაღლესისა და განმაკეთილშობილებელის მოთხოვნილებისა და სურვილის დასაკმაყოფილებლად. ესეც ხომ მადლია, ცივილიზაციისაგან თავის თავად დაბადებული. მაგრამ იმ თავითვე ისე აირია საქმე, რომ ეს თავისუფალი დრო, მოცლა, ანუ მადლი ცივილიზაციისა, შრომის ძალადობამ, ძალ-მომრეობამ დაიმონავა ქვეყნიერობის დასამშევადა და ომში ხალხთა გასაჟლეტად იქმნა მოხმარებული. მაშასადამე, აქაც იგივე დღევანდელი პოლიტიკის მოთავე კაცები არიან საქმეში გარეულნი და გასაკიცხნი და არა ცივილიზაცია, მეცნიერება და სხ. ეს მეორე. კიდევ შემეძლო ამ საგანზედ ბევრი მელაპარაკნა, მაგრამ ჩემის აზრის გაგებისთვის, ვგონებ, ესეცა კმარა. გარდა ამისა, მე სრულიადაც უარს არა ვყოფ, რომ ყველამ თავს უშველოს, ყველა თავისს თავს დაეხმაროს. პირ-იქით, თუ თითოეულმა თვითონ არ იმოქმედა გამ-

დიდის მადლობის ღირსნი უნდა იყვნენ მაზრის უფროსი და მისი ბოქაულები; მაგრამ შენ მტერს, რაც ეს ასე არ იყოს! თუ მივიღებთ მხედველობაში მარტო იმას, რომ თვით ბ-ნი მაზრის უფროსი რომ ბძანებს, ორს თთვეში ერთის არზის მეტი ქურდობის შესახებ არ მოსულა ჩემთანაო, რასაკვირველია, მაშინ დიდი მყუდროება უნდა იყოს მაზრაში და უფროსიც მართალს ბრძანებს, ხოლო თუ გამოვიკვლევთ საფუძვლიანად სად, რა ნაირი და რამდენი ქურდობა და სხვა ბოროტება მომხდარა მთელს გორის მაზრაში, მაშინ დავრწმუნდებით, რომ ამ ორის თთვის განმავლობაში ერთი-კი არა, იქნება ასი ქურდობაც მომხდარიყოს. ეს შემდეგიდანა სჩანს. ნამდვილის წყაროდან ვიცი, ორმ სოფ. ძლევიჯვარს (გორის მაზ.) ერთს კვირაში ორი ქურდობა მომხდარა: სახელდობრ, გლეხის ხუბულურის სახლი გაუტეხიათ და, რაც თავისს სიცოცხლეში რამ შეუძენია და ჰქონია, სულ გაუტანიათ. იქვე გლეხს შერაზადიშვილს დაუკარგავს ხარი. მეორე სოფ. ნიქოზში ერთს გლეხს ნ. მაისურაძეს, ამავე კვირაში დაუკარგავს ხარი. იქვე ცოტა წინად დაკარგულა ძროხა და ერთის გლეხისათვისაც ძალ-და-ძალ მძინარესთვის აუგლეჯიათ ახალი ერთად-ერთი საბანი. თუმცა ეს გლეხი გამოსდგომია კიდეც, ბევრსაც ჰხვეწნია, მომეცით, ჩემს ცოლს ნუ იდებთო, მაგრამ დამუქრებიან, მოგვშორდი, თორემ მოგკლავთო, და ისიც თვალ ცრემლიანი გამობრუნებულა უკან ხელცარიელი. ბევრი უყვირნია კიდეც, მაგრამ ვინ გასცემდა ხმას: არსად ყარაული, არსად მოშველე! ეს ამბები უცებ შემთხვევით გზად გავლით შევიტყე ერთს საათში. თუ კაცი დაწვრილებით ყველა სოფელში გამოიკვლევს, მაშინ — ერიჰა!

ამას გარდა, ამ ერთის კვირის წინად, როგორც თვითონ მითხრა ცხინვალში, როდესაც ბოქაულთან ყოფილიყო გამოსაცხადებლად, სოფ. ხვითში ს. გლურჯიძე გაუქურდავთ და, რაც რამ ჰბადებია, სულ წმინდად გაუტანიათ სახლიდგან. ქურდი, როგორც ამბობენ, ისევ ხვითელი ყოფილა. ძლევიჯვარში ქურდობის ჩამდენსაც ისევ იქაურსავე გლეხს ასახელებენ. ესენი რამდენჯერმე ყოფილან ქურდობაში შენიშნული. ეს გარემოება მცხოვრებლებმაც ყველამ იციან. ამ გვარი უბედურობა, ჩემის აზრით, ადვილი მოსასპობია და აგრეთვე იმისი გაგებაც ადვილია, თუ ვინ არიან დამნაშავენი, მაგრამ ვინ უდგია კვალში, ვინ იტკივებს თავსა? ეხლა რომ ბ-ნ ცხინვალის ბოქაულმა ძალა დაატანოს ხვითელებს და დააკისროს იმ გლურჯიძის დანაკარგის გადახდევინება, მაშინვე ქურდს ხელში მისცემენ და გაფთხილდებიან კიდეც, მაგრამ ჯერ ბ. ბოქაული ცხინვალიდგან იქ არ მისულა. ესე ვართ გაოხრებულნი უპატრონობით. ჩვენი ქურდები არიან ბარის ოსები და შიგადაშიგ ქართველი მკვიდრნიც, რომლებიც გამგებლებად ჰყავთ ოსებს— ესენი აჩვენებენ, მიუძღვებიან და ოსები იპარვენ და მალვენ. თითონ მკვიდრნი განა არ ჩაუდგებიან კვალში და დამკარგველებიც არ უჩივლებენ და არ მიუთითებენ ყოველს შემთხვევაში ქურდებს, მაგრამ გადაწვისა და დახოცვისა ეშინიანთ. აბა სოფლისთ გამოჰკითხონ ისე, რომ ქურდებმა ვერ ნახონ, როგორ დაწვრილებით ყველა სოფელმა უჩვენოს ქურდები.

ი.

---

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ამას წინად ჩვენს გაზეთში გვქონდა აღნიშნული უკანონობა ბ-ნ იზმაილოვის არჩევანისა; ამას გარდა, თვით არჩევანის დამთავრებისას ხმოსანმა ბ-ნმა ნ. დ. ზუბალაშვილმაც განაცხადა, რომ ეგ არჩევანი უკანონოაო, რადგან სულ 48 ხმოსანმა მოიყარა თავი ქალაქის თავის მოადგილეს ამოსარჩევად საბჭოში და ბ-ნს იზმაილოვსკი მხოლოდ 23 თეთრი კენჭი ამოუვიდაო. ამავე აზრისანი იყვნენ ტფილისის ადგილობრივი გაზეთები, რომ უკანონოდ უნდა ჩაითვალოს ეს არჩევანიო, მაგრამ, ყოველ ამის მიუხედავად, საბჭოს წარსულს კრებაზედ ხმა არავის ამოუღია ამის შესახებ, თუმცა ბ-ნის ზუბალაშვილის შენიშვნა სხდომის ოქმშიაც იქმნა ჩაწერილი. დღეს ამავე საგანს მთელი წერილი უძღვნა გაზ. „Нов. Обоз.“-ში ბ-ნმა Е. ნიკოლაძემ. აი, სხვათა შორის, რა აზრისაა ამ საგნის შესახებ:

რა იქნება ნათელი და გარკვეული „საქალაქო დებულების“ იმ სიტყვებსავით, რომელიც ხელთ გვაძლევს ღონისძიებას განვიხილოთ, რომ ესა თუ ის საგანი, ესა თუ ის კანდიდატი მოწონებულია, თუ არ მოწონებულია, ამორჩეულია, თუ უარ-ყოფილი

„საქალაქო დებულების“ მე-33 მუხ. აი რას ამბობს:

„ხმოსნად არჩეულად ისინი უნდა ჩაითვალონ, რომელთაც კრებაზედ უფრო მომეტებული თეთრი კენჭი ამოუვათ და ამასთან ნახევარზედ მეტი რიცხვით იქ მყოფ ამომრჩეველთა რიცხვთან შედარებით“.

„საქალაქო დებულება“ ადგენს რა შემდეგ წესს გამგეობაში მოსამსახურეთა და თანამოსამსახურეთა არჩევანისას, აღარავითარს სხვა წესს არ იხსენიებს, მხოლოდ იმას ამბობს, რომ სამსახურის კაცთა შესახებ ანგარიშში მიღებული უნდა იყოს დამსწრე ხმოსანთა რიცხვი-კი არა, მეკენჭოსნეთა რიცხვიო. ხოლო რადგან სამსახურის კაცთა არჩევანის შესახებ არავითარი ნათქვამი „დებულებაში“, ეს იმასა ჰნიშნავს, რომ აქაც ის წესი უნდა იყოს სახელმძღვანელოდ მიღებული, როგორიც ხმოსანთა არჩევანის დროს არის, ესე იგი, თეთრი კენჭი უნდა შეუფარდეს იქ დამსწრე ხმოსანთა რიცხვს და არა მეკენჭოსნეთა რიცხვს.

ეს რომ ასეა, უფრო აშკარად დავინახავთ, თუ გამოვარკვიეთ, რა დედა-აზრზეა აგებული „საქალაქო დებულებაში“ საბჭოს მიერ საგნების კენჭით გადაწყვეტის საქმე. „დებულების“ მე-67 მუხლი გადაწყვეტით აღნიშნავს ამ შემთხვევისათვისაც იმავე წესს, როგორიც ხმოსანთა არჩევანისათვის არის: „საჭიროა, რომ სხდომაზედ დაესწროს ხმოსანთა მთელის რიცხვის ნახევარზედ არა ნაკლები და რომ საგანი გადაწყვეტილ იქმნას არა ნაკლებ იქ მყოფ ორ-მესამედის ხმის უმეტესობით“.

დასასრულ წერილისა ავტორი ამბობს, რომ

ჩვენში-კი, ამასობაში, ჩვენის თვითმმართველობის დებულების წაღმაუკუღმა განმმარტავნი სცდილობენ სულ სხვა წესი დაადგინონ, ასე რომ ბ. ა. იზმაილოვს, რომელსაც კრებაზედ, 48 ხმოსნის ყოფნის დროს, 23 თეთრი კენჭი ამოუვიდა, საბჭოს მიერ ამორჩეულადა სთვლიან. არითმეტიკას კისერს ამტვრევენ იმის დასამტკიცებლად, რომ 23 მეტია 48-ის ნახევარზედაო.

ტყუილი თვალის ახვევაა, თორემ ვინ დაიჯერებს, თუნდა ამ ვაჭბატონებმა თავისდა სახეიროდ ისიც იძახონ, რომ ორჯელ ორი კართოფილის სანთელია და არა ოთხიო!

---

## წერილი რედაქციის მიმართ

### I

გვიგვეთ რა მდგომარეობა ჩვენის პოეტის აკ. წერეთლისა (მოხსენებარიძისა), მაშინვე განვიზრახეთ გვეგვემართა ხელის მოწერა იმის სასარგებლოდ. შევაგროვეთ ცხრა მანეთი, რომელსაც ესლავ გიგზავნით. აი შემომწირველთა სიაც:

სიმონ დეიძემ—40 კაპ., ნადეჟდა დეიძისამ—1 მან., ელენა წერეთლისამ—1 მან., მღვდელმა ზაქარია წერეთელმა—1 მან., ტრიფონ ლაშაშიძემ—1 მან., ყარამან მალაზიას ძემ ბიწაძემ—50 კაპ., კოლია მოსეშვილმა—20 კაპ., ბარუსი კაკაბაძემ—20 კაპ., რევაზ აბრამიშვილმა—20 კაპ., კალარიონ ამაშუკელმა—20 კაპ., ნიკო ბარელაძემ—20 კაპ., გიორგი გაჩეჩილაძემ—40 კაპ., მაქსიმე დეიძემ—30 კაპ., ნიკო სვანიძემ—20 კაპ., ამბროსი ბარელაძემ—20 კაპ., ნიკო ჭელიძემ—50 კაპ., გიორგი კაშიამ—40 კაპ., კონსტანტინე შარაძენიძემ—20 კაპ., ბესარიონ ბადალაძემ—

---

წარებით, არ იზრუნვა, არ იშრომა, ერთის სიტყვით, არ იბძოლა სახსტიკად, იმისი ბედი გაშავებულია, იმისი მომავალი დაბნელებულია. განსაკუთრებით პაწია ერთათვის არის საჭირო ასეთი შრომა და ზრუნვა.

— ჰო-ო, სწორედ მეც მანდა ვარ. განსაკუთრებით პაწია ერთათვის... პაწია ერებმა განმარტოებით უნდა იზრუნონ-მეთქი თავიანთ თავისათვის, ვუპასუხე მე. მაგრამ აი, მე და შენ, ჩემო სანდრო, „რას ვაკეთებთ, ან რას ვათეთრებთ“?

— რას ვაკეთებთ და ვცხოვრობთ; რაკი ვცხოვრობთ, მაშასადამე, ვიბრძვით...

— არა, სოფიზმებსა და ხუმრობას თავი დაანებე, თუ ძმა ხარ; სიტყვას ბანზე ნუ აგდებ. ეგ შენ არ შეგშვენის. ვიბრძვითო. მე ხომ კერძო არსებობისათვის ბრძოლისას არ გელაპარაკები. იბრძვის რაიმე იდეიისათვის, რაიმე განსაზღვრულის მიმართულებისათვის ჩვენი ინტელიგენცია, ქართველის ტვინი, საზოგადოდ და კერძოდ, ჩემი და შენი გრძნობა-გონება, ჩემო სანდრო? აი, ამაზე მომეცი დღეს შენ პასუხი, შეწუხებული სული და გული ამიტომ მოიწევდა შენკენ, ჩემო მინუგეშებელო, კეთილშობილო მეგობარო...

სიტყვა ვერ გავათავე: მეგობარი მოპიახლოვდა და ხელი მომხვია. მეც ხელი მოვხვიე და ერთმანეთი მაგრად დავიჭირეთ, თითქოს ვშიშობდით ერთმანეთისათვის, რომ არავინ განგვაშოროსო. ესე ვიყავით კარგა ხანს ჩუმად, ჩაფიქრებული და თავ-ჩაკიდებული... მერე განვშორდით ერთმანეთს და სანდრომ დაიწყო:

— პირდაპირ შენს საკითხზედ პასუხის მოცემა მეტის-მეტად ძნელია, მეგობარო, მაგრამ მე მაინც ვეცდები მივუახლოვდე მაგ საგანს, შენი მწუხარება ოდნავ შევაშთო, თუმცა ვაი, თუ ბოლოს უარესი დავ... აბა, ყური დამიგდე.

— მე რომ ცხოვრებისა და ბრძოლისას ვლაპარაკობ, მხედველობაში არა მაქვს მხოლოდ განმარტოებული ფორმა კერძო არსებობისათვის ბრძოლისა. საზოგადოდ, როდესაც სხვა-და-სხვა ნაირად სჯიან იმ რთულს საგნის შესახებ, რომელსაც სახელად ჰქვიან ბრძოლა არსებობისათვის ცხოვრებაში, ხშირად ავიწყდებათ ხოლმე ის სამართლიანი შენიშვნა, რომელიც ერთმა გერმანელმა მოაზრემ წარმოსთქვა: ზოგან ბრძოლა არსებობისათვის-კი არ მოქმედებს, არამედ უმაღლესის, კეთილშობილურის მოქმედებისათვისაო. და მართლაც, ამ მხრით რომ დავაკვირდეთ კაცობრიობის ცხოვრებას, ღრმა მოსაზრებისა და დიდის გონების პატრონი უნდა ყოფილიყო ის, ვისაც ცხოვრებისათვის ბრძოლა უწოდებია. ტანჯვითა და მწუხარებით ცხოვრება, დღიურ ლუკმისათვის გამუდმებით გულის გამაწვრილებელი და ტვინის გამანამცეცებელი ფიქრი დროსა და მოცალეობას აღარ აძლევს ადამიანს და ხშირად მთელს ხალხსა და ერსაც, რომ თავის სულის ნიჭთა ძალნი დამშვიდებითა და მლვიძარებით ერთს რაიმე განმაკეთილშობილებელსა, ნაყოფიერსა და სასარგებლო საგანს მიუჩინოს და შემდეგ ეს სასურველად დასახული საგანი ყოველის მხრით განიხილოს, განზომოს და იმისდა გვარად იმოქმედოს და იღვაწოს. ბევრჯერ ესეთი ცხოვრება უბრძოლველადაც, უნიადაგოდ ჰქმნის ხოლმე ადამიანს და სპობს მისის სულის მრავალ გვარს კეთილს განზრახულებას და უსპობს ცხოვრების გაფართოების სურვილსა. და ვაი იმ ადამიანს, გინა ერს, რომელიც შესდგა ასეთ უბედურ ვითარების საფეხურზედ, რომლის სურვილი და მისწრაფებაც ერთს წერტილზედ გაქავდა...

მაგრამ ავიღოთ ისეთი ადამიანი, ანუ ადამიანთა კრებული, რომელსაც თავისის საკუთარის ცხოვრების განგრძობისათვის საკმაო პური აქვს და წყალი, სახლი და კარი; ნივთიერად, შედარებით, დაკმაყოფილებულია, არცა ჰშიან, არც სწყურიან, არცა სცივა და სხვ. მაგრამ, დახე, ბედს! სწორედ მაშინ, როდესაც იგი ხორციელად კმაყოფილია, სულ სხვა ფიქრსა და საზრუნებელს საგანს გაუტაცნია, ეტანება სხვას, ხვალინდელის დღის მოსალოდნელს საჭირბოროტო საქმეებს უკვირდება და შორეულს სურვილს სულ ერთიანად ჩაუყლაპავს. ეს შორეული სურვილი და საოცნებოდ დასახული საგანი ადამიანს ხშირად წარმოუდგება მშვენიერებითა და შუქით გაბრწყინვებულ ბედის ვარსკვლავად, რომლის გარეშემო სუფევს, იმისის ფიქრით, ბედნიერება, სრული სიამე და ნეტარება. მე მგონია, აქ უნდა იყოს დასახული ადამიანის სულის ერთი უდიდესი თვისებათაგანი. და ბედნიერია ის ერი, რომელსაც ასეთის თვისების კაცნი ბლომად მოეპოვება...

წარმოვიდგინოთ ამ თვისების კაცთა ცხოვრება და დავაკვირდეთ, მართლაც, თუ თვითოეული ნაბიჯი, ხელის განძრევა, ნიჭისა და მოსაზრების წარმოება, ცხოვრების განსპეტაკებისათვის დაუცხრომელი ცდა და შრომა ასეთს ადამიანს მხოლოდ ბევრის ტანჯვისა და ჯახირის, ბევრის ვაი-ვაგლახისა და ბრძოლის შემდეგ არ გაუბედავს. და სწორედ გითხრა, იმათის სულის ზნეობრივი თვისებაც ამ ბრძოლაში იხატებოდა და იხატება. ამასთანავე იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ბრძოლით მოპოვებულს სიკეთესა და მადლსაც დარაჯობა და დაცვა ეჭირვებოდა, იმიტომ რომ ადამიანურის ცხოვრების დაუძინებელი მტერი, უწმინდური ძალი იმისს დარბევასა და მტვრად ქცევას ჰლამობდა. ხშირად აქაც სასტიკი ბრძოლა იმართებოდა და, ღმერთო ჩემო, იარაღში ჩასმული უწმინდური ძალი იმარჯვებდა და გამარჯვებული ეძლეოდა ფუფუნებასა და „სიამესა სოფლისასა“. მაგრამ რაც უნდა უბედურს მდგომარეობაში ყოფილიყო ჩავარდნილი, რაც უნდა სასტიკს ვითარებას ბედის გადამწყვეტი კლანჭი ჩაერჭო ცოცხალის არსებისათვის, იმისი სურვილი წარმატებისა და ცხოვრების განსპეტაკებისა მაინც როდისმე თავს იჩენდა და ეძიებდა მოქმედების სარბიელს, მოძრაობასა და განვითარებას. და რაკი სულის კანონიერს მიზიდულებას ცხოვრებაში წინააღმდეგი, ზემოდ ნაჩვენები ძალა ხვდებოდა გზის შესაკრავად—იბადებოდა ბრძოლა სულის მისწრაფებასა და ამ უწმინდურს ძალას შორის, ბრძოლა ჯერ პირველად, რასაკვირველია, გამოურკვეველი, მოუმზადებელი, შემდეგ-კი ცნობიერი, დან-და-თან გამორკვეული და მომზადებული. ცხოვრების კეთილად მოწყობის სურვილი ძალა-უნებურად იწვევდა გამკლავებულს ბრძოლას და ამ ბრძოლაში ხომ ბევრს სასახელო მოციქულს მოუწურავს თავის პატიოსნებით აღბეჭდილ შუბლიდგან სისხლის ოფლი და თავი წამებულის ეკლის გვირგვინით შეუმკია. ეს სურვილი წარმატებისა ისეთ ნაირად უმაგრებდა ხასიათსა და გულს, ისეთ ნაირად გაბედულად ადგმევინებდა წინ ნაბიჯსა და მიაქანებდა გატაცებულს ადამიანს შორეულს სატრფიალოსაკენ, რომ ცხოვრებას კარგა დიდს მანძილზედ შორდებოდა და გარემო ვითარებასთან დაახლოვებული კავშირიც არა ჰქონდა. მაგრამ ეს უკეთესის ცხოვრების მოპოვების სურვილი რას დაგიდევდა გარემო ვითარებას, ყურადღებას არ აქცევდა ცხოვრების სისაძაგლეს და შეუპოვრად აკვდებოდა კაცურის ღირსების მოპოვებასა და დაცვას. ამ სასიამოვნო სურვილის განხორციელების მოლოდინში სცხოვრობდა, თავისუფლად ამ ფიქრით სუნთქავდა და მოძრაობდა, როგორც ფრინველი ცაში, თევზი ზღვაში და მაცოცხლებლის ნუგეშით, იმედით, ღრმა რწმენით შეჰყურებდა სამოთხის მსგავსად დასახულს მომავალს...

(დასასრული იქნება)

20 კაპ., იოსებ წერეთელმა—20 კაპ. და ამირან ბარელაძემ—50 კაპ.

ა. პერევისელი

## II

ხონელებიც ძრიელ შესწუხა ჩვენის ნიჭიერის მწერალის, ალ. ყაზბეგის ავადმყოფობამ. ნაცნობთა შორის გავმართეთ ხელის მოწერა მის სასარგებლოდ და შევაგროვეთ 17 მან. რომელსაც გიგზავნით და გთხოვთ, გარდასცეთ ისეთს სანდო კაცს, რომელმაც მოახმაროს ეს ფული ჩვენს საყვარელს მწერალს.

შემომწირველთა სია:

ი. რ. ტატიშვილი—2 მ., გ. გ. უთურგაური—2 მ., მღ. ერ. მაჭარაძე—1 მ., ეკ. ირ. მესხისა—1 მ., მ. ი. თ. ნაკაშიძე—1 მ., თ. ალ. ა. წულუკიძე—1 მ., კ. ბ. ღორთქიფანიძე—1 მ., მ. გ. ბახტაძე—1 მ., ნ. ბ. ტატიშვილი—1 მ., პ. ი. რუხაძე 1 მ., გ. ი. ქიქოძე—1 მ., გ. რ. ზაალიშვილი—1 მ., ლ. კ. ხმალაძე—1 მ., ის. ნეცუბიძე—60 კ., ივ. მემარნიშვილი—20 კ., იოს. გოროზია—80 კ., ბ. ნადირეიშვილი—50 კ., მ. ნარაზოვი—20 კ.

ლ. ვ.—ხმალაძე

ხონი 15 ოქტომბერს.

## დეპეშა

23 ოქტომბერს

**ბუქარესტი.** იასსასა და პაშკონს შუა მსწრაფლი მატარებელი გადავარდა რელსებიდგან. ორთქლმავალის ქვაბი გასკდა. ორი ვაგონი დაიწვა: 9 მგზავრი მოკვდა, 20 დაიჭრა. ამბობენ, ეს ამბავი ბოროტ-განმზრახველების საქმეაო.

**რომი.** დღეს დაიწყო კაპიტოლიაში კონგრესი იმის შესახებ, რომ საერთაშორისო უთანხმოებანი შუაკაცთა მიერ განსამართლებით დაბოლოვდეს ხოლმე უომოდ და მშვიდობიანად. ამ კონგრესს დაესწრო 200 კაცი იტალიისა და უცხო სახელმწიფოთა პარლამენტებისა. კონგრესის დაწყებას დაესწრო ბეჭდის შემნახველი და მრავალი დიპლომატი. დეპუტატთა პალატის პრეზიდენტმა სთქვა, ამ კონფერენციის პროგრამა ის არის, რომ საერთაშორისო განსამართლება დააწესოსო, მაგრამ კერძო განხილვა-კი საპოლიტიკო საქმეთა არ უნდა უარ ჰყოსო.

პეტერბურგის ბირჟა, 18 ოქტომბ.

| | მყიდვე-ლისა. მან. | კ. | გამყიდ-ველისა. მან. | კ. | გაყიდუ-ლისა. მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7, | 70 | 7, | 74 | — | ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 154 | | 155 | | [illegible] | ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, | 14 | — | ,, | — | ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — | ,, | — | ,, | 236½ | |
| —მეორისა . . . . . | — | ,, | — | ,, | 216 | |
| —მესამისა . . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . . . , . | — | ,, | 207 | | 208½ | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| 6%. . . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| 5%. . . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის:

სამშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, სუხუმსა და ნოვოროსიისკში შეივლის.

ხუთშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, ნოვოროსიისკში შეივლის.

შაბათობით: საღამოს 8 საათზე, შორის გზით, ყოველს ნავთ-სადგურში შეივლის.

ორშაბათობით: საზღვარ-გარედ კონსტანტინოპოლისაკენ, საღამოს 7 საათზე.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: დილით, მოკლე გზით. გამოივლის კერჩსა და სუხუმზე.

ოთხშაბათობით: დილით, მოკლე გზით, გამოივლის კერჩსა და ნოვოროსიისკზედ.

პარასკევობით: საღამოზე, შორის გზით.

კვირაობით: დილით, სტამოლიდამ.

ფოთში მოდის ბათუმიდამ: ორშაბათობით, შუადღისას.

ფოთიდამ ბათუმს მიდის: ხუთშაბათობით, დილის 9 საათზე. (ბათუმში მიმავალ მგზავრთ შეუძლიანთ გადავიდნენ საფოსტო გემზე, რომელიც გადის ნაშუადღევის 4 საათზე).

კვირაობით: დილის 9 საათზე.

ფოთიდამ სუხუმს: ორშაბათობით, შუადღისას.

გემი „*Бабушка*“ ბათუმიდამ ფოთს მოდის კვირაობით და ოთხშაბათობით, ნაშუადღევის 2 საათზე. ბათუმიდამ გამოდის იმ დროს, რომელსაც დაჰნიშნავს ბათუმის საააგენტო.

ფოთიდამ ბათუმს მიდის:: სამშაბათობით, დილის 9 საათზე, იმ გემს მიუსწრობს, რომელიც სუხუმზე გაივლის და ოდესაში მიდის.

შაბათობით: დილის 9 საათზე. ესეც მიუსწრობს ოდესაში მიმავალს გემს.

# განცხადებანი


ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ 12 ნოემბერს, დილის 11 საათზე, გამგეობის კანცელარიაში დანიშნულია ვაჭრობა მტკვარზე სხვადა-სხვა ყინულის სამტვრევის ადგილის იჯარით გაცემისა. პირობის დაწვრილებით შეტყობა შეიძლება გამგეობისავე კანცელარიაში ყოველ-დღე, დილის ათის საათიდამ ორ საათამდე.

(3—1)

„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დააკადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

თაზ. დ—რის ლიურენცია.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამა სასარგებლო იგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებული მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულება ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით ტომი I: ელგუჯა, ციკო და ელისო . . . . . | 1 | 20 |
| ტომი II, მამის მკვლელი და განკიცხული. . . | 1 | 20 |
| ტომი III, მოძღვარი და ციცია . . . . . . | 1 | 20 |
| საუნჯე, მ. ჯანაშვილისა. | „ | 20 |
| ცვარი სურათებიანი, საყმაწვილო წიგნი. . . . | „ | 30 |
| სიმრთელის კიდობანი (კარაბადინი) სულაქველიძისა. | 1 | „ |
| „ვეფხის-ტყაოსანი“ მე-12 გამოცემა, ოზურგეთში; ფასი . . . . . . . | „ | 30 |
| ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა . . . | „ | 30 |
| სამი ბრძენი, ილ. იკონთელისა. . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა. . . . . . . | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი . . . . | „ | 30 |
| ხალხური ზღაპრები, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ. | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. . . | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელის . . . . . . . | „ | 15 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . | 1 | „ |
| ბრძენი . . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულის ენისა, ყდით. | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, ყდით . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი, დამატებით ძველის გეოგრაფიისა. . . . . | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამატიკა დამატებით გრამატიკურის და ლოღიკურის ანალიზებისა. . . | „ | 40 |
| მოკლე რეტორიკა, გინა მჭევრ-მეტყველება სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცისა, ყდით . | „ | 50 |
| Сношенія Россіи съ Кавказомъ, С. А. Бѣлокурова . . . . . | 3 | „ |

პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულს საზოგადოებას, რომ მე მოვიყვანე საზღვარ გარეთიდან მღებავი მოხელე და გავმართე ქუთაისში, ბალახვანის ქუჩაზედ, წყალთა-შუა, ძმ. ვოლოხის სახლში

სამღებრო და ლაქის ამოსაყვანი ქარხანა

და ვიღებ შესაღებად სხვა-და-სხვა ფერ აბრეშუმეულს: პლიუშას, ხავერდის, შალის და ბამბის ქსოვილებს, ყოველ გვარს შეკერილს ქალის ტანისამოსს; კაცის სამხედრო სამოქალაქო ტანისამოს, ჩოხებს, ჩულქებს, ლენტებს, არშიებს, სირაქლემას ფრთებს და სხვებს. აგრეთვე ვიღებ ტანისამოსსა და ყოველ გვარს დალაქიანებულ მატერიებს ლაქის ამოსაყვანად.

მსურველთ შეუძლიათ მობრძანდნენ მიხეილის ქუჩაზე, აკოფოვის შენობაში და ფოსტით მომმართონ შეკვეთილობით და ფერიც გვაცნობონ ნიმუშით.

(28—95—27) ქარხანის პატრონი არტემ ანჯაფარიძე

ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, ქალაქის შუა-გულს ალაგას, ახალი ნომრები

დანია

მშვენივრად და სუფთად მორთული ოთახები 60 კაპ. ვიდრე 5 მანათამდე დღეში; თთვიურად ბევრი დაეთმობათ. საჭმელი ახალი და გემრიელია. (36—86—33)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . . | 10 მ.—კ. | | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. | |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | | 5 ,, . . . | 5 ,, 50,, | |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | | 4 ,, . . . | 4 ,, 75,, | |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, | |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, | |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, | |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანეთი, სხვა ქალაქის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ ოითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდის ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ახალი სტამბა

მ. შარაძისა ტფილისში

ნიკოლოზის ქუჩაზედ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში,

იქ, სადაც „ივერიის“ რედაქცია იმყოფება, გაიმართა

სრულიად ახალი სტამბა.

სტამბასა აქვს საზღვარ-გარეთიდამ გამოწერილი ახალის სისტემის მსწრაფლ-მბეჭდავი და სხვა და სხვა გვარი მაშინები.

ამასთან გვაქვს ახალი ასოები, როგორც ქართული, აგრეთვე რუსულიცა და სომხურიც. სომხური ასოები გამოწერილია ვენიდგან.

ყოველ გვარს სასტამბო საქმეს ქართულ-სომხურ-რუსულს ენებზე

სუფთად და დროზედ ვაკეთებთ.